



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითდი შედეგები	4
„საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	5
რადიო „მასტრო“	7
„პირველი რადიო“	8
რადიო „თავისუფლება“	9
რადიო „პალიტრა“	11
რადიო „იმედი“	13
რადიო „ჭერეთი“	14
რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე).....	16
რადიო „მარნეული“	17
რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)	19
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	21

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი-საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“- ფარგლებში, რადიომაუწყებლების სადამოს საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდებოდა. მონიტორინგი 2020 წლის 15 ივნისი - 21 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

დაკვირვება ხორციელდებოდა 10 რადიომაუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებებზე. ეს რადიოებია: „საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „თავისუფლება“, „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ჰერეთი“, „მარნეული“, „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი), „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), პირდაპირი/ირიბი გაშუქება (სუბიექტები თავად საუბრობენ, თუ მათზე სხვები საუბრობენ), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ხმით/მუსიკით მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე იყვნენ: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი.

დაკვირვება ხორციელდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სიუჟეტებზე, არამედ ყველა სიუჟეტზე, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

ანგარიში მოიცავს 15 ივნისიდან 21 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგებს.

15 ივნისი - 21 ნოემბრის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- რადიომაუწყებლების უმეტესობა რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა და ახალი ამბებიც მეტწილად დაბალანსებული იყო. თუმცა, საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია: ახალი ამბების კონტენტი მეტწილად მშრალი და ზედაპირული იყო. ხშირ შემთხვევაში ახალ ამბებში ახალი და აქტუალური არაფერი იყო: სიუჟეტები მოკლებული იყო კონკრეტულ თემას, პრობლემას და ფოკუსს;
- რადიოების უმეტესობა ექსკლუზიურ კონტენტს ვერ ქმნიდა: სხვადასხვა მაუწყებლის ეთერში ერთი და იგივე თემები ტრიალებდა და ნაკლებად ისმოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც სხვა რადიოარხის ეთერში არ ხვდებოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ რადიომაუწყებლები ახალი ამბების კონტენტით ერთმანეთთან კონკურენციას ნაკლებად ცდილობდნენ: არ ჩანდა ჟურნალისტის მცდელობა და ამბიცია - იყოს პირველი, მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია და მსმენელს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტი შესთავაზოს, ვიდრე კონკურენტმა მედიამ;
- საინფორმაციო გამოშვებებში თემების აქტუალურობას კვლავაც პოლიტიკოსთა განცხადებები განსაზღვრავდა და არა ჟურნალისტების მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ახალი ამბები ხშირად მხოლოდ რესპონდენტების მიერ გაკეთებული ზოგადი ხასიათის განცხადებების გავრცელებას ემსახურებოდა;
- წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად მოიმატა სუბიექტების ირიბი გაშუქების წილმა: ახალი ამბების უმეტეს ნაწილს პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებების ციტირება შეადგენდა;
- ჟურნალისტები პოლიტიკოსებისგან მიღებულ ინფორმაციას ანალიზისა და ფაქტების გადამოწმების გარეშე აშუქებდნენ; არ იყენებდნენ შესაძლებლობას, ახალი ამბები სტატისტიკით, საარქივო მასალებით, სამოქალაქო სექტორის კვლევებითა თუ სხვა მონაცემებით გაემდიდრებინათ;
- რადიომაუწყებლების უმეტესობა მცირე დროს უთმობდა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, სოციალური საკითხებისა და უმცირესობების პრობლემების გაშუქებას და ამ საკითხებზე მსმენელისთვის პოლიტიკოსთა მოსაზრებების გაცნობას;
- 1-21 ნოემბრის პერიოდში, ოპოზიციის აქციების ფონზე, მკვეთრად გაიზარდა „ქართული ოცნების“ გაშუქების უარყოფითი ტონი, რადგან ყველა ოპონენტი მმართველ გუნდს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა;
- 1-21 ნოემბრის პერიოდში მოიმატა არასამთავრობო სექტორისა და ექსპერტთა გაშუქებამ:

ჟურნალისტები ცდილობდნენ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით მსმენელისთვის სპეციალისტების მოსაზრებებიც გაეცნოთ;

- რადიომაუწყებლები გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ხელს არ უწყობდნენ, ეთერში არ ისმოდა სექსისტური, ჰომოფობიური, რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები;
- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები უხეზად არ ირღვეოდა და არც ხმით/მუსიკით მანიპულაციის შემთხვევები გამოვლენილა.

„საქართველოს რადიო“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„საქართველოს რადიო“ პოლიტიკურ მოვლენებსა და არჩევნების როგორც პირველ, ასევე მეორე ტურამდე ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, მაგრამ ანალიზსა და ჟურნალისტების კრიტიკულ დამოკიდებულებას მოკლებული ახალი ამბები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მაღალ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა: მსმენელს მხოლოდ მშრალი და ზედაპირული ინფორმაცია მიეწოდებოდა. მოლოდინი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სხვებზე მეტად პროაქტიული იქნებოდა და უფრო სიღრმისეულად გააშუქებდა ისეთ თემებს, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ ხვდებოდა, არ გამართლდა.

საზოგადოებრივმა რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 10 საათი და 36 წუთი დაუთმო, საიდანაც 21% „ქართულ ოცნებაზე“ საუბრობდნენ, ჯამში 26% - მთავრობასა და პრემიერ-მინისტრზე. მთლიანი დროის 10% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 9% - „ევროპულ საქართველოს“. მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად აშუქებდა დანარჩენი პოლიტიკური პარტიების გაშუქება 5%-ს არ აღემატებოდა.

„საქართველოს რადიოს“ ეთერში მცირე დრო ბევრ ისეთ პარტიას დაეთმო, რომელიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში იშვიათად გვხვდებოდა, თუმცა ინფორმაცია მოკლე და კონტექტს მოკლებული იყო: 10-10 წამიანი ახალი ამბები მხოლოდ პოლიტიკოსების წინასაარჩევნო შეხვედრების დროს გაკეთებული განცხადებების მოკლე ციტირებას ეთმობოდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტები ბალანსის ფორმალურ დაცვას ცდილობდნენ და აქცენტს რაც შეიძლება მეტი სუბიექტის გაშუქებაზე აკეთებდნენ, და არა - ხარისხზე.

ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ბრალდებებს, უმეტესად (საშუალოდ, 98%), თავად ციტირებდნენ. ამასთან, ისინი ხელისუფლებისა და პოლიტიკოსების აქტივობების მიმართ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა ინფორმაცია გადაემოწმებინათ და მსმენელს სიმართლის დადგენაში დახმარებოდნენ.


არჩევნების ორივე დღეს აქტიურად გაშუქდა არჩევნების მიმდინარეობა, დარღვევები, საარჩევნო უბნებთან არსებული ვითარება. მაუწყებლის ყურადღების მიღმა არც 1-21 ნოემბერს განვითარებული პროცესები დარჩენილა. მეორე ტურებამდე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას მიკერძოებული ან მოვლენების ცალმხრივად გაშუქების შემთხვევები არ გამოვლენილა: ახალ ამბებში ხვდებოდა როგორც ოპოზიციის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციები.

„საქართველოს რადიოს“ ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და ხელს არ უწყობდნენ სტერეოტიპების გავრცელებას. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არსებულ მოლოდინებს მხოლოდ ეთიკის სტანდარტების დაცვა არ აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანი იყო, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებელი მხოლოდ პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების და იქ გაჟღერებული დაპირებების გაშუქებით არ შემოფარგლულიყო და მსმენელისთვის სხვადასხვა საკითხზე (ეკონომიკა, განათლება, სოფლის მეურნეობა და ა.შ) პარტიების ხედვები გაეცნო; მოემზადებინა სიუჟეტები, სადაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის პრობლემები საარჩევნო კონტექსტში გაშუქდებოდა, რაც მოსახლეობას მათთვის აქტუალურ თემებზე პოლიტიკოსთა შეხედულებების გაგებასა და, შესაბამისად, ინფორმირებული და უფრო გააზრებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

"საქართველოს რადიო"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტროს“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები აქტიურად, მაგრამ ზედაპირულად შუქდებოდა. ახალი ამბები მეტწილად დაბალანსებული იყო. ჟურნალისტები რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ, სუბიექტურ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, თუმცა ეთერში ანალიზისა და კრიტიკული კითხვების ნაკლებობა იგრძნობოდა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 28 საათი და 53 წუთი დაუთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო (28%) „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, 13% ერგო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 11-11% - მთავრობასა და „ევროპულ საქართველოს“.

სუბიექტების გაშუქების ტონი დიდწილად ნეიტრალური იყო. მათ პირდაპირი საუბრისთვის დროის, საშუალოდ, 45% ეთმობოდათ.


საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, პოლიტიკოსთა განცხადებებს ეფუძნებოდა. ახალი ამბების გაშუქებისას ეთერი ეთმობოდათ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს. ხშირად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკაც, რაც ოპონენტების განცხადებებით უფრო იყო განპირობებული, ვიდრე მოვლენების სიღრმისეული ან ანალიტიკური გაშუქებით: ჟურნალისტები პოლიტიკური პარტიების მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ და ნაკლებად სვამდნენ მწვავე კითხვებს. „ქართული ოცნების“ მაღალი (54%) უარყოფითი ტონი სწორედ ოპონენტების მიერ მის მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ განაპირობა, განსაკუთრებით 1-21 ნოემბრის პერიოდში.

არჩევნების შემდგომ პერიოდში რადიო „მაესტროს“ მუშაობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა - ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებში ისმოდა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების შეფასებები. რადიომაუწყებელი არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა და ახალი ამბებიც მეტწილად დაბალანსებული იყო. არჩევნების დღეებში აქტიურად გაშუქდა დარღვევები და საარჩევნო უზნებთან არსებული სიტუაცია.

რადიო „მაესტრო“ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს დიდ დროს უთმობდა. ვრცელი საინფორმაციო გამოშვებები საშუალებას იძლეოდა მოვლენები სიღრმისეულად გაშუქებულიყო, მაგრამ ეთერში გასული ინფორმაცია სხვა რადიომაუწყებლების ახალი ამბებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. თემების მრავალფეროვნება, ანალიტიკური და ექსკლუზიური სიუჟეტები საინფორმაციო გამოშვებების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "მაესტრო"
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



„პირველი რადიო“

„პირველი რადიო“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები აქტიურად, მაგრამ ზედაპირულად შუქდებოდა. ახალი ამბები, ძირითადად, პოლიტიკოსების განცხადებებს ეფუძნებოდა და არა ჟურნალისტების მოძიებულ ინფორმაციას. საინფორმაციო გამოშვებები ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდა. მათ სიღრმისეულობა და ანალიზი აკლდა, ხოლო თემატიკა სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო.

„პირველმა რადიომ“ მონიტორინგის სუბიექტებს 16 საათი და 42 წუთი დაუთმო. ამ დროის 29% „ქართული ოცნება“ გაშუქდა, 15% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, 11% - „ევროპულ საქართველოს“. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიების გაშუქება კი 3%-ს არ აღემატებოდა.


სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 48% პირდაპირი საუბრისთვის ეძლეოდათ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ „ქართული ოცნება“ და მთავრობა, რომელთა გაშუქების, საშუალოდ, 65% ირიბ საუბარზე მოდიოდა, რამაც მმართველი გუნდის უარყოფითი ტონი გაზარდა. ეს არჩევნების შემდგომ, 1-21 ნოემბერს განვითარებულმა მოვლენებმაც განაპირობა: გადაცემებში აქტიურად შუქდებოდა საპროტესტო აქციები, არჩევნების მეორე ტურისთვის გამოცხადებული ბოიკოტი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ.

„პირველი რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებები, მეტწილად, დაბალანსებული იყო. თუმცა, ჟურნალისტები ფაქტების გადამოწმებასა და დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ნაკლებად ცდილობდნენ. ახალ ამბებს, ძირითადად, პოლიტიკოსების სხვადასხვა შეხვედრაზე გაკეთებული ზოგადი განცხადებები განსაზღვრავდა და არა ჟურნალისტების მწვავე კითხვები, რაც მსმენელს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებიდან სიმართლის დადგენაში დაეხმარებოდა.

ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და ისეთი თემების წინ წამოწევა, რომლებზეც პოლიტიკოსები საკუთარი სურვილით არ საუბრობდნენ გადაცემებს უფრო მრავალფეროვანს და ინფორმატიულს გახდიდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

"პირველი რადიო"
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლება“ წლების განმავლობაში ექსკლუზიური მასალების მომზადებით და ისეთი თემების (ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გენდერი, სოციალური საკითხები) გაშუქებით გამოირჩეოდა, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში იშვიათად ხვდებოდა. საინფორმაციო გამოშვებები მხოლოდ ცენტრალური ახალი ამბების გაშუქებით არ შემოიფარგლებოდა, მუწყებელი რეგიონების პრობლემებსაც აქტიურად აშუქებდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ მსმენელისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემები მოეძებნათ და გაეშუქებინათ.

რადიო „თავისუფლება“ ვრცელ, 30 წუთიან, საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 18 საათი და 33 წუთი დაეთმო. ყველაზე მეტი დრო

მთავრობას (22%), „ქართულ ოცნებას“ (18%) და ადგილობრივ მთავრობას (15%) დაეთმოთ, ხოლო 10% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებაზე მოდიოდა.

ახალ ამბებში ბალანსი დაცული იყო და მოვლენები მიუკერძოებლად შუქდებოდა. ჟურნალისტები მწვავე კითხვებს სვამდნენ და ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდებოდნენ. სიუჟეტები მხოლოდ პოლიტიკოსების ზოგად განცხადებებზე არ იყო აგებული, ეთერში ისმოდა სპეციალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შეფასებები, ამიტომ სუბიექტები დროის, სამუალოდ, 70% ირიბად გაშუქდნენ.

რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიის თანმიმდევრული და სიღრმისეული გაშუქებით გამოირჩეოდა. პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკეთებული განცხადებების გაშუქების ნაცვლად, წინასაარჩევნო კამპანია თემატური ბლოკების მიხედვით შუქდებოდა: სიუჟეტები ფოკუსირებული იყო კონკრეტულ მუნიციპალიტეტზე, რეგიონსა თუ თემაზე, ჟურნალისტები ვრცლად მიმოიხილავდნენ წინასაარჩევნო კამპანიებს და სხვადასხვა ძალებს შორის მსგავსებასა და განსხვავებას წარმოაჩენდნენ.

რადიო „თავისუფლება“ ასევე მრავალმხრივ და სიღრმისეულად გააშუქა არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენები - მსმენელს შესაძლებლობა ჰქონდა ინფორმაცია მიეღო არჩევნების დღეს მომხდარი სხვადასხვა დარღვევის და ინციდენტის, რეგიონებსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში განვითარებული მოვლენების, საჩივრების განხილვების, არჩევნების მეორე ტურში გასული კანდიდატების და საპროტესტო აქციების შესახებ.


საინფორმაციო გამოშვებებში 1-21 ნოემბრს მიმდინარე პროცესები დაბალანსებულად და მიუკერძოებლად გაშუქდა: ჩანდა, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის და ხელისუფლების, ასევე ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიციები. ასევე გაშუქდა მოსახლეობის მოსაზრებები ოპოზიციის ბოიკოტისა და მეორე ტურში გასული ოპოზიციური კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის თაობაზე.

რადიომაუწყებელი მაღალი სტანდარტების მედიაპროდუქტს ქმნის და ზრუნავს, რომ მსმენელს ინფორმაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით, გასაგებად, მრავალმხრივ და დაბალანსებულად მიაწოდოს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "თავისუფლება"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრა“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, თუმცა ახალი ამბები მშრალად და ზედაპირულად შუქდებოდა, ანალიტიკური და სიღრმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა. გადაცემები დაბალანსებული იყო, ჟურნალისტები რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, მაგრამ არც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ. არხის მთავარ გამოწვევად კვლავაც მოვლენების სიღრმისეულად გაშუქება რჩება.

რადიო „პალიტრამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 20 საათი დაუთმო. ამ დროის 26% „ქართული ოცნების“ გაშუქებაზე მოდიოდა, 10-10% დაეთმოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“, ხოლო ჯამში 30% - მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს.

ჟურნალისტები ხელისუფლების აქტივობების მიმართ კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, მაგრამ ოპოზიციის კრიტიკული შეფასებების გაშუქებას არ ერიდებოდნენ. შედეგად, მმართველი გუნდი 46% უარყოფითი ტონში გაშუქდა. სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო თანაბრად (საშუალოდ 35%) ეძლეოდათ, რამაც მათი გაშუქების დადებითი ტონი განაპირობა.

რადიომაუწყებელი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას მათი აქტივობების შესაბამისად, მეტ-ნაკლები ინტენსივობით აშუქებდა - ახალი ამბები მთლიანად იმეორებდა პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგს.


31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, რადიო „პალიტრამ“ აქტიურად იმუშავა: ეთერი დაეთმო პირდაპირ ჩართვებს, გაშუქდა საარჩევნო უბნებთან არსებულ მდგომარეობა, ხელისუფლების, ოპოზიციის, საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო სექტორის განცხადებები.

რადიომაუწყებელმა ასევე აქტიურად გააშუქა მეორე ტურამდე პერიოდში განვითარებული პროცესები. ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებს არც ამჯერად ამზადებდნენ, თუმცა, მონიტორინგის დასაწყის პერიოდთან შედარებით საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი გაუმჯობესდა. მიუხედავად, დამატული პოლიტიკური ფონისა, 1-21 ნოემბრის პერიოდში ახალი ამბები უფრო მეტად დაბალანსდა, უფრო ხშირად ისმოდა ექსპერტთა შეფასებებიც და კრიტიკული კითხვებიც. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ და პროფესიული სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ.

რადიო „პალიტრა“ წლების განმავლობაში მიუკერძოებელი და დაბალანსებული რადიოარხის სტატუსს ინარჩუნებს. მის პრობლემად კი კვლავაც ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და ანალიზს მოკლებული გამოშვებები რჩება.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "პალიტრა"
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ ახალ ამბებს მოკლედ და ზედაპირულად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში ბალანსი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არაერთხელ დაირღვა, შეინიშნებოდა მისი დადებითად წარმოჩენის ტენდენცია: ჟურნალისტები ხელისუფლების კრიტიკას ერიდებოდნენ და მმართველი გუნდის მიმართ გამოთქმულ ნეგატიურ შეფასებებს დროს ნაკლებად უთმობდნენ.

რადიო „იმედმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 5 საათი და 16 წუთი დაუთმო. ამ დროის 71% სახელისუფლებო გუნდის გაშუქებაზე მოდიოდა: 32% „ქართული ოცნება“, 22% მთავრობა, 17% პრემიერ-მინისტრი. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებიდან შედარებით ვრცლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (11%) და „ევროპული საქართველოს“ (4%) აქტივობები გაშუქდა. სხვა პარტიებისთვის დათმობილი დრო 1%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო იშვიათად ეთმობოდათ, მათ განცხადებებს მეტწილად (საშუალოდ, 90%) წამყვანი ციტირებდა.

რადიომაუწყებელმა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანია (საარჩევნო პროგრამის, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა) აქტიურად გააშუქა, თუმცა საინფორმაციო გამოშვების წამყვანი მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებებს ციტირებდა. შესაბამისად, მმართველი გუნდის წარმომადგენლები ხშირად დადებით კონტექსტში შუქდებოდნენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც რეგიონებში კანდიდატების წარდგენის დროს განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე საუბრობდნენ - მმართველი პარტიის პროექტები და აქტივობები თითქმის ყოველთვის კრიტიკის გარეშე შუქდებოდა.


31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს რადიო „იმედის“ ეთრში ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გავიდა: ისმოდა როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებები. თუმცა, „ქართული ოცნების“ წევრთა შეფასებები სჭარბობდა. ეს ტენდენცია მცირედით შეიცვალა 1-21 ნოემბერს განვითარებული მოვლენების გაშუქების დროს, როცა, საპროტესტო აქციების ფონზე, ოპოზიციის კრიტიკულ განცხადებებს უფრო მეტი დრო დაეთმო.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, რომ მედია რომელიმე პოლიტიკური ძალის პიარსამსახურს არ დაემსგავსოს. აუცილებელია, ჟურნალისტებმა დაიცვან ბალანსი, დასვან კრიტიკული კითხვები, გადაამოწმონ ფაქტები, იზრუნონ სიმართლის დადგენისთვის და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით იმუშაონ, რათა მსმენელს მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტი შესთავაზონ.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "იმედი"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „ჰერეთი“

რადიო „ჰერეთი“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან ერთად რეგიონებში განვითარებულ მოვლენებსა და სიახლეებსაც აქტიურად აშუქებდა.

რადიო „ჰერეთმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 26 საათი და 22 წუთი დაუთმო. ამ დროის 33% „ქართულ ოცნებაზე“ მოდიოდა, 13-13% -მთავრობასა და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, 9% -კი „ევროპულ საქართველოზე“.

პირდაპირი საუბრისთვის ოპოზიციურ პარტიებს გაცილებით მეტი დრო ეთმობოდათ (საშუალოდ, 60%), ვიდრე მმართველ გუნდს (საშუალოდ, 28%). შესაბამისად, სახელისუფლებო სუბიექტებს უარყოფით ტონში სხვებთან შედარებით მეტი დრო დაეთმო.

მაუწყებელი პოლიტიკური ახალი ამბების გაშუქებას დიდ დროს უთმობდა: საინფორმაციო გამოშვებებში ისმოდა როგორც ოპოზიციისა და ხელისუფლების, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების განცხადებები. ჟურნალისტები ცდილობდნენ მოვლენები სიღრმისეულად გაეშუქებინათ, თუმცა ხშირი იყო შემთხვევა, როცა ახალი ამბები მხოლოდ პოლიტიკოსების განცხადებებს ეფუძნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეთერში მმართველი გუნდის მწვავე კრიტიკა სჭარბობდა, ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მკვეთრად მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. თუმცა, ცალკე აღებული რამდენიმე ახალი ამბავი ნაკლებად დაბალანსებული იყო - მმართველ გუნდს ოპოზიციის კრიტიკაზე პასუხის გაცემის საშუალება ყოველთვის არ ჰქონდა. წამყვანის ფრაზით: „აღნიშნულზე „ქართულ ოცნებაში“ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა, ასეთის არსებობის შემთხვევაში ჩვენ მას პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ“, - მაუწყებელი ბალანსს ფორმალურად იცავდა და არ ცდილობდა კომენტარი თავად მოეპოვებინა.

რადიო „ჰერეთი“, სხვა რადიომაუწყებლების მსგავსად, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას, ძირითადად, პოლიტიკოსთა განცხადებების გაჟღერებით შემოიფარგლებოდა.

მონიტორინგის ბოლო პერიოდში მაუწყებელი მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხშირად რთავდა ტელეკომპანია „ფორმულას“ სიგნალს. შესაბამისად, რადიოს ეთერში საინფორმაციო გამოშვება „ფორმულა NEWS“-ის კონტენტი გადიოდა - იქნებოდა ეს ჟურნალისტების ჩართვები თუ პოლიტიკოსთა კომენტარები. პარტნიორი ტელეკომპანიის სიგნალის ჩართვის შემთხვევებმა განსაკუთრებით არჩევნების შემდგომ პერიოდში მოიმატა: რადიოს ეთერში გადიოდა პირდაპირი ჩართვები ოპოზიციის საპროტესო აქციებიდან და ბრიფინგებიდან.


რადიო „ჰერეთმა“ არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს საინფორმაციო გამოშვებაში ვრცლად გააშუქა არჩევნების მიმდინარეობის პროცესი: საარჩევნო უბნებთან არსებული ვითარება, სავარაუდო დარღვევები და განხორციელდა ჩართვები რეგიონებიდანაც. ეთერი დაეთმო როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებს, თუმცა საინფორმაციო გამოშვების ნაწილი ტელეკომპანია „ფორმულას“ კონტენტი იყო.

რადიო „ჰერეთი“ წლების განმავლობაში ინარჩუნებს კრიტიკული და პასუხისმგებლიანი მედიის სტატუსს, თუმცა წელს ანალიტიკურმა სიუჟეტებმა იკლო და გაიზარდა პრესკონფერენციებზე დაფუძნებული ახალი ამბების წილი. ჟურნალისტების მიერ წინ წამოწეულ პრობლემებზე მომზადებული მასალები საინფორმაციო გადაცემებს უფრო მრავალფეროვანს გახდიდა. რადიომაუწყებელს უნდა ჰქონდეს ამბიცია, რომ მსმენელს უფრო მაღალი ხარისხის, მეტად ანალიტიკური და ფაქტებზე დაფუძნებულ ჟურნალისტური პროდუქტი შესთავაზოს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "ჭერეთი"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ (ქ. ახალციხე)

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ მოკლე საინფორმაციო გადაცემებს ამზადებდა, სადაც, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს მიმოიხილავდნენ. ახალი ამბები მშრალი და ზედაპირული იყო, არ ჩანდა ჟურნალისტების მცდელობა, რომ ფაქტები გადაემოწმებინათ, დამატებითი მასალები მოეძიებინათ და მსმენელისთვის რეგიონში განვითარებულ პროცესებზე სიღრმისეული და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდებინათ.

რადიო „სამხრეთის კარიბჭემ“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 2 საათი და 17 წუთი დაუთმო. მაუწყებლის ეთერში ყველაზე ხშირად მთავრობაზე (27%), ადგილობრივ მთავრობასა (26%) და „ქართულ ოცნებაზე“ (12%) საუბრობდნენ. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის 5-5% ერგოთ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“.

სუბიექტებს პირდაპირი საუბარისთვის დრო არ დათმობიათ - პოლიტიკოსთა განცხადებებს წამყვანები ციტირებდნენ. ისინი მიკერძოებულ და სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა პოლიტიკოსთა მისამართით კრიტიკულ კითხვებსაც არ სვამდნენ. ჟურნალისტები არც ფაქტების გადამოწმებას და დამატებითი მასალების მოპოვებას ცდილობდნენ, რითაც პოლიტიკოსებს საკუთარი თავის დადებითად წარმოჩენას უადვილებდნენ. ამგვარი გაშუქება ხელისუფლების დადებითი ტონის მაჩვენებლების ზრდაზე აისახა.

რადიომაუწყებელი პოლიტიკური პროცესების და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების აქტივობების გაშუქებას მცირე დროს უთმობდა. საინფორმაციო გამოშვებებში მსმენელს ინფორმაცია, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაჟორიტარი კანდიდატების შესახებაც, მოკლედ, მშრალად და ზედაპირულად მიეწოდებოდა.


მიუხედავად იმისა, რომ „სამხრეთის კარიბჭე“ შაბათ-კვირას საინფორმაციო გადაცემებს არ ამზადებდა, არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს მაუწყებელი ეთერში სპეციალური საინფორმაციო გამოშვებით გავიდა. წამყვანმა მსმენელს რეგიონსა და ქვეყანაში არჩევნების მიმდინარეობის პროცესი მოკლედ გააცნო.

რადიო „სამხრეთის კარიბჭე“ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობს, თუმცა საინფორმაციო გამოშვებებში მსმენელისთვის რეგიონში არსებული ვითარების და პრობლემების შესახებ ექსკლუზიური და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას ნაკლებად ახერხებს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "სამხრეთის კარიბჭე"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „მარნეული“

რადიო „მარნეულის“ ორენოვან (ქართულ-აზერბაიჯანული) საინფორმაციო გამოშვებებში, ქვემო ქართლში, ძირითადად მარნეულში განვითარებული მოვლენები შუქდებოდა, თუმცა დრო ცენტრალურ ახალ ამბებსაც ეთმობოდა. მაუწყებელი მოვლენებს დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა.

რადიო „მარნეულის“ ეთერში მონიტორინგის სუბიექტებს 6 საათი და 11 წუთი დაეთმო. აქედან ყველაზე მეტი დრო (35%) ადგილობრივი მთავრობის აქტივობების გაშუქებას დაეთმო. მას 21%-ით „ქართული ოცნება“ და 12%-ით მთავრობა მოჰყვებოდა.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 90% ირიბ საუბარზე მოდიოდა. „ქართული ოცნების“ 41%-იანი უარყოფითი ტონის მიზეზი, მეტწილად, ოპონენტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შეფასებები იყო.

რადიო „მარნეული“ ქვემო ქართლში მიმდინარე მოვლენებს და ადგილობრივ პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობდა. ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებისას კრიტიკული დამოკიდებულება განსაკუთრებით ადგილობრივ პრობლემებზე საუბრისას იგრძნობოდა: ჟურნალისტები ცდილობდნენ მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხის გაშუქებისას ხელმძღვანელი პირებისგან პასუხები მიეღოთ.

მაუწყებელი მიუკერძოებლად მუშაობდა, ახალი ამბები, უმეტესწილად, დაბალანსებული იყო: ეთერში ისმოდა როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლების კომენტარები. თუ რომელიმე მხარის კომენტარის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ, ჟურნალისტები მსმენელს ამის მიზეზსაც აცნობდნენ. თუმცა, მაუწყებელი მხოლოდ რესპონდენტების მოსაზრებების გაშუქებით შემოიფარგლებოდა - ჟურნალისტები ნაკლებად ცდილობდნენ ინფორმაციის გადამოწმებას და უფრო მეტად ანალიტიკური მასალების მომზადებას.

მაუწყებელი რეგიონში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის გაშუქებასაც აქტიურად ცდილობდა, თუმცა ჟურნალისტების განმარტებით, ზოგჯერ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის კანდიდატები მედიას მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრების დროსა და ადგილს არ ატყობინებდნენ. მიუხედავად ამისა, საარჩევნო თემაზე რამდენიმე სიუჟეტი მომზადდა: გააშუქდა მარნეულისა და გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრებზე გაჟღერებული დაპირებები. მაუწყებელმა ვრცლად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვემო ქართლში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებს შორის მომხდარი დაპირისპირება: ეთერში ისმოდა ორივე მხარის, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა პოზიციები.


რადიო „მარნეული“ შაბათ-კვირას საინფორმაციო გამოშვებებს არ ამზადებდა და მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დამაბული საარჩევნო პროცესებით გამოირჩეოდა, სპეციალური გამოშვება ეთერში არც არჩევნების დღეს გასულა. მსმენელმა 31 ოქტომბრის, არჩევნების დღის შესახებ ინფორმაცია ორშაბათს, 2 დღის დაგვიანებით მიიღო.

რეგიონული რადიომაუწყებელი „მარნეული“ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. თუმცა, მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის შესაქმნელად ჟურნალისტებმა მეტად პროაქტიულად უნდა იმუშაონ: ფაქტები გადაამოწმონ, მასალები გააანალიზონ და მსმენელს სიმართლის დადგენაში დაეხმარონ.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "მარნეული"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



რადიო „ძველი ქალაქი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „ძველი ქალაქი“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებში, ძირითადად, იმერეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. თუმცა, დრო მნიშვნელოვან ცენტრალურ ახალ ამბებსაც ეთმობოდა. მაუწყებელი სიახლეებს მშრალად და ზედაპირულად გადმოსცემდა.

რადიო „ძველმა ქალაქმა“ მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 38 წუთი დაუთმო. ამ დროის 30% მთავრობის, 14% „ქართული ოცნების“, ხოლო 12% ადგილობრივი მთავრობის გაშუქებაზე მოდიოდა.

ახალი ამბების გაშუქებისას წამყვანი რესპონდენტებს, მეტწილად, ციტირებდა. შესაბამისად, მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ გაშუქებას ცოტა დრო (საშუალოდ, 24%) დაეთმო.

რადიომაუწყებელი ინფორმაციას მოკლედ და მშრალად გადმოსცემდა. ახალი ამბები ზედაპირული და ანალიზს მოკლებული იყო. ჟურნალისტები კითხვებს ნაკლებად სვამდნენ და პოლიტიკოსების ურთიერთსაწინააღმდეგო ზოგადი კომენტარების გაჟღერებით შემოიფარგლებოდნენ.

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე მაუწყებელმა დაიწყო სიუჟეტების მომზადება, სადაც მსმენელს ერთსა და იმავე საკითხებთან დაკავშირებით (სოციალური თემები, ქუთაისის საპარლამენტო ქალაქის სტატუსი და ა.შ) სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობისა და მერობის კანდიდატების ხედვებს აცნობდნენ, რაც ამომრჩეველს სხვადასხვა პარტიის ერთმანეთთან შედარების საშუალებას აძლევდა.

რეგიონის მოსახლეობისთვის მსგავსი ტიპის ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან სხვა მაუწყებლები, მათ კანდიდატებზე ნაკლებად საუბრობდნენ.


რადიო „ძველი ქალაქის“ ეთერში შაბათ-კვირას საინფორმაციო გამოშვებები არ გადიოდა. გადაცემა ეთერში არც არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს გასულა, თუმცა 21 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტურის დღეს მაუწყებელმა სპეციალური გამოშვება მოამზადა და მსმენელს ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში არჩევნების მიმდინარეობის პროცესი და საარჩევნო უბნებზე არსებული ვითარება გააცნო.

რადიო „ძველი ქალაქის“ მთავარ გამოწვევად მოვლენების სიღრმისეული და მრავალფეროვანი გაშუქება რჩება. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონულმა მაუწყებელმა მეტი ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გაშუქებას და მსმენელს მათთვის მტკივნეულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მოსაზრებები გააცნოს; იყოს უფრო პროაქტიული ინფორმაციის მოპოვებისას, დასვას კითხვები და ფაქტების მშრალი გადმოცემით არ შემოიფარგლოს.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

რადიო "ძველი ქალაქი"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020




გენდერულად სენსიტიური გაშუქება

პროექტის ფარგლებში საარჩევნო თემების მონიტორინგისას დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომელიც აძლიერებს საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს.

ქალი პოლიტიკოსების და ქალი კანდიდატების გაშუქებას რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით ხუთჯერ ნაკლები დრო ეთმობოდათ, ვიდრე კაცი პოლიტიკოსების გაშუქებას.

რადიომაუწყებლებში სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ რადიომაუწყებლები გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას ხელს არ უწყობდნენ. ეთერში არ ისმოდა სექსისტური, ჰომოფობიური და რომელიმე გენდერული ნიშნის მიმართ სიძულვილის ან საფრთხის შემცველი განცხადებები.

